31/10/2025

MES 7 25 0001445083

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის" დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ქუთაისის №36 საჯაროსკოლა:
ეკატერინე დოლიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლა:
გულნაზ ცაავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯაროსკოლა:
მარინე ბერიანიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა:
ნოდარ გოგმაჩაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯაროსკოლა:
მაია ბუაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლა:
ნინო ონიანი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ ქუთაისის №36 საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლა:
ა) ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო უგრეხელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა ჯაყელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) დალი კერესელიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლა:
ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი ჯაბაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამილა თამაზაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა:
ა) სოფიო ტარასაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ჩიტაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნატა ბიჭიკაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯაროს კოლა:
ა) ნატო გაბოშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო მუმლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ფერიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯაროს კოლა:
ა) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ)ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 17 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №36 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №36 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, განმარტა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან 2023 წელს იყო აღნიშნული სკოლის მხარდამჭერი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 და 21 აგვისტოს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N1133561 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1500 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 948.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტის და მესამე (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველი სტანდარტი და მე-3 სტანდარტის 3.1, 3.5 და 3.6. კომპონენტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო “მეტწილი” შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „მისია და ხედვა გამიჯნოს ერთმანეთისგან, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს დაწესებულების რეალისტური დროში გაწერილი, გაზომვადი ხედვა;
- შექმნას შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- წარმოადგინოს საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები;
- წარმართოს კომუნიკაცია ვებ გვერდის შექმნის მიზნით შესაბამის უწყებასთან, გამოყოს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, განათავსოს ვებ გვერდზე სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია.“

შეუსრულებელი იყო მხოლოდ 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნებს. ექსპერტის თქმით დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ შენობაში (რომელიც ერთმანეთთან ფლიგელით იყო დაკავშირებული). ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა N1 შენობის დასკვნა ექსპლუატაციის

უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა N2 შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ხოლო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა N2 შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების უზრუნველყოფა.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო -მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის №36საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:42
დასრულების დრო: 14:48

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ქუთაისის №36საჯარო სკოლის (ს/კ: 212706936) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

მიღებისთანავე N2 შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო თანამშრომლობითი გარემო, ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, რომელიც იწვევდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რომელი საგნის საათები ჰქონდათ სპეციალურ მასწავლებელსა და ბიბლიოთეკარს.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ აღნიშნა, რომ სპეციალურ მასწავლებელს საათები არ ჰქონდა, მხოლოდ კომპეტენცია არ ჰქონდა დადასტურებული და მასთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება იყო გაფორმებული, ხოლო ბიბლიოთეკარს ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის და ხელოვნების საათები.

აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოსთვის.

სკოლის დირექტორმა, გულნაზ ცაავამ, აღნიშნა, რომ სპეციალური მასწავლებელი იყო პრაქტიკოსი და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე. ბიბლიოთეკართან დაკავშირებით განმარტა, რომ დასაქმებული იყო როგორც მოწვეული მასწავლებელი და ასწავლიდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ქართულ ენასა და ლიტერატურას. მისი თქმით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, თუმცა არ გამოჩნდნენ მსურველები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სკოლის აზომვით ნახაზთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობის გარკვეული ნაწილს კვლავ უტარდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და შემდგომ მიიღებდნენ აზომვით ნახაზს.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, დაიწყო თუ არა სკოლამ იმ რჩევებსა და რეკომენდაციებზე მუშაობა, რომელიც გაცემული იყო საგნობრივი ექსპერტების მხრიდან. ასევე, შეისწავლა თუ არა სკოლამ, რამ განაპირობა, რომ სკოლამ მიიღო მსგავსი რაოდენობის რჩევა საგნობრივი მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, გულნაზ ცაავამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული ჰქონდათ კომპეტენტური და გასათვალისწინებელი რჩევები და რეკომენდაციები. მისი თქმით დასკვნის მიღებისთანავე შეიკრიბნენ კათედრები და დაიწყეს აქტიური მუშაობა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. სკოლის დირექტორის თქმით მასწავლებლები გაივლიდნენ სხვადასხვა ტრენინგს და კომპეტენციის ასამაღლებელ კურსებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, მანანა ჯაყელის თქმით, თავდაპირველად წარმოდგენილ კურიკულუმებში იყო გარკვეული ხარვეზები, რომელთა ნაწილიც ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორეს მასწავლებლებმა, ასევე მე-11 კლასის კურიკულუმში არ იყო გაწერილი სამიზნე ცნებები და ამ მიმართულებით გაცემული იყო რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:05
დასრულების დრო - 15:08

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლას (ს/კ: 235443935) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში ქართული ენისა და ლიტერატურის და ხელოვნების მასწავლებლების დასაქმების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვისა და სკოლის ტექნიკური ნახაზის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 650. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 650 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადები უკვე დამდგარი იყო და დაინტერესდა, რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
სკოლის დირექტორმა, მარინე ბერიანიძემ, აღნიშნა, რომ ვებ-გვერდთან დაკავშირებული რეკომენდაცია გაითვალისწინეს და ეტაპობრივად იტვირთებოდა ინფორმაცია სკოლის შესახებ, ასევე, სრულად აღჭურვეს ექიმის კაბინეტი, ასევე ჰქონდათ მიწერილობა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისთვის.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სპორტისა და მუსიკის კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებამ განახლებულ შენობაში საგანმანათლებლო საქმიანობა დაიწყო 2025-2026 სასწავლო წელს და აღნიშნულ მასწავლებლებს მისცეს ერთწლიანი ვადა სასერთიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა სკოლას გამოცხადებული ჰქონოდა ვაკანსია.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი, მარინე ბერიანიძე იყო 2023 წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო ექიმის დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის ვაკანსია, თუმცა რეგიონში იყო კადრების სიმწირე და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით დაასაქმეს ექთანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:21
დასრულების დრო - 15:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 243122679) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წალკა, მერაბ ჭელიძის ქუჩა N53
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წალკა, მერაბ ჭელიძის ქუჩა N53
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წალკა, მერაბ ჭელიძის ქუჩა N53

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში მუსიკისა და სპორტის მასწავლებლების შერჩევის, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, გამოუყენებელი შენობების დემონტაჟის, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების სარეგისტრაციო ჟურნალებში აღწერის, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სოფიო ტარასაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 და 21 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 320. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 320 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, სოფიო ტარასაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჩაატარა თუ არა სკოლამ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის რევიზია და აქედან გამომდინარე თუ შეიქმნა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო კვალიფიციური კადრების დასაქმებასთან მიმართებით.

სკოლის დირექტორის, ნოდარ გოგმაჩაძის თქმით, ყველა რეკომენდაცია, რომლის შესრულებაც 2025 წლის სექტემბრამდე იყო გაწერილი, გათვალისწინებული ჰქონდათ. კვალიფიციურ თანამშრომლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაასაქმებდნენ შესაბამისობის გეგმით გათვლილ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო დირექტორის კაბინეტში განთავსებულ მონიტორთან დაკავშირებით, სადაც გადაიცემოდა ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული კადრები.

სკოლის დირექტორის განმარტებით, უახლოეს მომავალში აღმოფხვრილი იქნებოდა აღნიშნული ხარვეზიც.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოსთვის.
უცხოური ენების ექსპერტმა, ნინო ბურჯანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის, თუმცა, საჭიროებდნენ ტრენინგებსა და გადასამზადებელ კურსებს. აღნიშნული დაადასტურა ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა ნანა ჭავჭანიძემ.
საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა კვალიფიციურ მასწავლებელთა დასაქმებისთვის გამოცხადებული ჰქონოდათ ვაკანსიები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:42
დასრულების დრო - 15:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას (ს/კ: 246998646) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა.

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

5. სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 31 ივლისს და 01 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1450. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1450-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ნატო გაბოშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული სკოლის ინტერესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. სკოლის ეზოში მოწყობილი იყო საგაკვეთილო სივრცეები, რომლებსაც სკოლა იყენებდა გაკვეთილების ჩასატარებლად, ასევე, ყოველ სასწავლო წელს მშობლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთი დღით გამხდარიყვნენ მასწავლებლები და ატარებდნენ შეხვედრებს მოსწავლეებთან. პროფესიული თვალსაზრისით კი ყოველწლიურად იმართებოდა სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან, თავდაცვის აკადემიისა და კოლეჯის წარმომადგენლებთან შეხვედრები.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, ჰქონდა კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო საგანმანათლებლო რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:03
დასრულების დრო - 16:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლას (ს/კ: 216317108) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი რუსთავი, ივანე მაჩაბლის ქუჩა N3.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი რუსთავი, ივანე მაჩაბლის ქუჩა N3.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი რუსთავი, ივანე მაჩაბლის ქუჩა N3.

6. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 და 14 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობას ესაჭიროებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა არსებული რესურსის ფარგლებში სკოლის წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ საგანმანათლებლო სერვისის შეუფერხებლად განხორციელებას. ექსპერტის თქმით გათბობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა შეშის ღუმელები, რომლებიც განთავსებული იყო საკლასო ოთახებში.
ექსპერტის თქმით, სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართულობით განხორციელებული იყო მრავალი პროექტი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შიდა სპორტული დარბაზის მოწყობის რესურსი.
სკოლის დირექტორის, ნინო ონიანის განმარტებით, სკოლას სპორტული გაკვეთილებისთვის დათმობილი ჰქონდა ერთი ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და სხვა რესურსები, თუმცა, სპორტული დარბაზის მოსაწყობად არ ჰქონდა შესაბამისი ფართი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოსთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ეკატერინე გავაშელიშვილმა, აღნიშნა, რომ გარკვეული კლასები სკოლაში არ იყო (მაგალითად მე-7 და მე-11), შესაბამისად, მათი კურიკულუმები ნაკლებად დახვეწილი იყო, არსებულ კურიკულუმებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლამ ვიზიტის დროს გადმოაგზავნა მეტ ნაკლებად გამოსწორებული კურიკულუმები, თუმცა რჩევები მაინც გაიცა აღნიშნული მიმართულებით.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე დაინტერესდა, რას გულისხმობდა მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევაში.
ექსპერტმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ, აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სახელმძღვანელოს გასული ჰქონდა გრიფირების ვადა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა 3.4 ინდიკატორთან მიმართებით მიღებულ რეკომენდაციებზე გადადგმული ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე ნაბიჯი.
სკოლის დირექტორმა, ნინო ონიანმა, აღნიშნა, რომ სკოლაში შემოწმებაზე იმყოფებოდა სახანძრო უსაფრთხოების ჯგუფი, რომელიც 30 დღის ვადაში მიაწვდიდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნას. ასევე, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის ჰქონდა ხელშეკრულება ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და ელოდნენ ექსპერტთა ვიზიტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:16
დასრულების დრო - 16:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლას (ს/კ: 234069138) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევის, 2026 წლის ოქტომბერში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრების დასაქმების (ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებელი, საქმისმწარმოებელი), საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შიდა და გარე სივრცეებზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების დამონტაჟების, სასკოლო წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესით დამუშავების, ადაპტირებული გარემოს მოწყობის, eFlow-ის სისტემაში სკოლაში შესული განაცხადების რეგისტრაციის, ვებგვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსების, სტანდარტის შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ხოლო, 2027 წლის ოქტომბერში შიდა სპორტული დარბაზის და გარე სპორტული მოედნის მოწყობის, სველი წერტილების (ცალ-ცალკე მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის) მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:28 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე